Г 1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

F

**8–9**

აგვისტო — სექტემბერი

თბილისი—1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

გადაეცა წარმოებას 15/VIII—59 წ., ანაწყობის
ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5
შეკვ. № 940, ტირაჟი 5000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. №., 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзė, № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 571

1959 წლის 10 ივნისი

### რესპუბლიკის სკოლებში ბუფეტების, სასადილოების გახსნისა და მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ*

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ზოგ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საქმე, ბუფეტებისა და სასადილოებისათვის შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები. მათთვის სკოლებში გამოყოფილია სათანადო ბინები, უზრუნველყოფილია წყალგაყვანილობით, ინვენტარით და სხვა საჭირო მოწყობილობით.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ აქვს ადგილი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელების ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებით არ ეკიდება სასადილოებისა და ბუფეტების მოწყობის საქმეს. მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საკითხებს არ იხილავენ განათლების საბჭოს სხდომებზე, არ აბამენ ამ საქმეში მასწავლებელთა და მშობელთა აქტივს, შეფ ორგანიზაციებს. ამით არის გამოწვეული რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს სკოლებში ბუფეტებისა და სასადილოების გახსნა და მათი მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 11 აპრილის №354 ცირკულარული წერილითა და 1956 წლის 19 დეკემბრის №1734 ბრძანებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულება. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით სასადილოები უნდა გახსნილიყო ქ. თბილისის 10, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. ქ. ფოთის, რუსთავის, გორის, ტყიბულისა და მახარაძის თითო სკოლაში. ფაქტიურად სასადილოები

გაიხსნა ქ. თბილისის მხოლოდ 7 სკოლაში, ხოლო დანარჩენ ქალაქებში სასადილოები დღემდე არ გაუხსნიათ ბინის უქონლობის მოტივით. სასკოლო ბუფეტები არ არის კასპის, ყვარლის, მაიაკოვსკის, ყაზბეგის, ლენტეხისა და მესტიის რაიონების ცენტრის სკოლებში.

სასკოლო ბუფეტების ერთი ნაწილი შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული, არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარით, სათავსოებით, წყალგაყვანილობით, მაცივრებით, მახურებლებით, ელექტროგაყვანილობით და არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის მაისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად განიხილონ საკითხი სკოლების დირექტორების (გამგეების) რაიონულ თათბირზე მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების შესახებ და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის;

ბ) 1959-1960 სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სასკოლო სასადილოების გახსნა და მათი ნორმალური მუშაობა დანართის მიხედვით:

გ) ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიებისა და განათლების საბჭოს სხდომებზე მოისმინონ საკითხი სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობის შესახებ;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღონ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის რაიონის ცენტრის ყველა სკოლაში ბუფეტების მოწყობისა და ყველა საჭირო ინვენტარით მათი უზრუნველყოფისათვის;

ე) ბუფეტებისა და სასადილოების მოწყობისა და მუშაობის საკითხები ყოველწლიურად გააშუქონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის წარმოსადგენ ანგარიშებში;

ვ) ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ სპეციალური მოხსენებითი ბარათები გამოგზავნონ განათლების სამინისტროში ა/წლის 1 ოქტომბრისათვის.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) სასადილოებისა და ბუფეტების მოწყობის საქმეში ფართოდ ჩააბან პროფკავშირული და შეფი ორგანიზაციები, აგრეთვე მშობელთა კომიტეტები;

ბ) მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ ბუფეტებსა და სასადილოებში უფროსი კლასების მოსწავლეთა მორიგეობა და აქტიური მონაწილეობის მიღება საჭმელის მომზადება-დარიგებაში.

3. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) სკოლების საინსპექტორო შემოწმებისას სათანადო ყურადღება მიაქციოს სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის საკითხებს.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ს. არველაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — გ. ჯიბლაძე

# ႣႠႬႠႰႧႨ:

1959—1960 სასწავლო წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში სასადილოების გახსნის შესახებ (გახსნილი სასადილოების რაოდენობით):

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აფხაზეთის ასს რესპუბლიკის | | სკოლებში | 4 | სასადილო |
| 2. | აჭარის | ,, | ,, | 4 | ,, |
| 3. | სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის | | ,, | 2 | ,, |
| 4. | ქ. თბილისის | | ,, | 10 | ,, |
| 5. | ქ. ქუთაისის | | ,, | 5 | ,, |
| 6. | ქ. ფოთის | | ,, | 1 | ,, |
| 7. | ქ. ჭიათურის | | ,, | 1 | ,, |
| 8. | ქ. რუსთავის | | ,, | 2 | ,, |
| 9. | ქ. გორის | | ,, | 1 | ,, |
| 10. | ახალციხის რაიონის | | ,, | 1 | ,, |
| 11. | ბორჯომის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 12. | ზესტაფონის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 13. | ზუგდიდის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 14. | მახარაძის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 15. | სამტრედიის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 16. | თელავის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 17. | ტყიბულის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 18. | ხაშურის | ,, | ,, | 1 | ,, |
| 19. | ცხაკაიას | ,, | ,, | 1 | ,, |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 576

1959 წლის 11 ივნისი

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთი სამმართველო და განყოფილება უკანასკნელ ხანებში დროზე არ ამზადებს საჭირო მასალებს და დასკვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სხვა ზემდგომ ორგანოების დავალებათა გამო, რის შედეგად დროულად არ სრულდება და გვიანდება წინადადების წარდგენა დანიშნულებისამებრ.

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობების მოხსენებითი ბარათების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 მაისის სხდომის საოქმო გადაწყვეტილების (№25 (XV) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს ზუსტად აღრიცხონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სხვა ზემდგომი ორგანოების დავალებები და უზრუნველყონ მოცემულ ვადებში დასკვნებისა და წინადადებების პროექტების მომზადება, დაამყარონ სახელმწიფოებრივი წესრიგი ამ საქმეში.

2. დაევალოს მინისტრის თანაშემწეს ამხ. დ. დუდუჩავას კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას და შემოწმების შედეგების შესახებ სისტემატურად მოახსენოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი  გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1959 წლის 12 ივნისი

### საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა მონაწილეობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონი პედაგოგიური ინსტიტუტების გადაუდებელ ამოცანად აყენებს მასწავლებელთა კადრების მომზადების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

ახლა მთავარია ის, რომ პედინსტიტუტების დირექტორებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შექმნან სტუდენტთათვის სწავლისა და ცხოვრების ნორმალური პირობები, ამ დარგში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული.

150 სტუდენტი 1958 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის აღებულ საქმეში და კარგად მუშაობით ყაზახეთის და საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობათა ჯილდოები დაიმსახურეს.

იმავე წელს 500 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მწვანე ჩაის ფოთლის კრეფაში, ხოლო

400 სტუდენტი ნაყოფიერ შრომას ეწეოდა ქალაქის სამშენებლო ობიექტებზე, სადაც დღეში 4 საათის მუშაობით თითოეულმა 30 მანეთი გამოიმუშავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა ქ. ბათუმის გამწვანებისა და კეთილმოწყობის საქმეში. ისინი გულმოდგინედ უვლიან მათზე გაპიროვნებულ ზღვისპირა ბაღს ენგელსის ქუჩიდან ბოლომდე, აგრეთვე ინსტიტუტის ეზოში და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში არსებულ მრავალნაირ ნარგავს.

ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლები 1958 წლიდან გადავიდა თვითმომსახურეობაზე. საერთო საცხოვრებლის ორ კორპუსს ახლა მხოლოდ ორი დამლაგებელი ემსახურება. ყველა სამუშაოს სტუდენტები ასრულებენ ხარისხიანად, დაცულია სისუფთავე და წესრიგი.

ინსტიტუტის კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი ტიპის სკოლებისათვის შესაფერისი კადრების მომზადების საქმეს. სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი სამეცნიერო დისციპლინებთან ერთად დაეუფლონ სხვა და სხვა ხელობას ინსტიტუტში მოწყობილ სახელოსნოს საამქროებში, როგორიცაა: ხის დამამუშავებელი, მექანიკური, შემდუღებელი, სამჭედლო და სხვა.

სტუდენტების მიერ დამზადებული 209 ცალი ტანისამოსის დასაკიდი; 15 ცალი სკამი, ლაბორატორიის თაროები, ფარგალი და სხვა ხელსაწყო ინვენტარი უსასყიდლოდ გადაეცა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს და საშეფო სკოლებს.

სახელოსნოს მანქანათმცოდნეობის კაბინეტი უზრუნველყოფილია საჭირო პლაკატებითა და სქემებით, აქვეა ავტომანქანის ყველა ნაწილი. ბევრმა სტუდენტმა კარგად შეისწავლა მანქანის დაშლა და აწყობა. მეხუთე კურსის სტუდენტებმა, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ დასახმარებლად სამხედრო ავტოსარემონტო ქარხანაზე, ფრიად სერიოზული სამუშაოები შეასრულეს.

სახელოსნოში შექმნილი შრომის ბრიგადებიდან კარგი მუშაობით გამოირჩევა №3 ბრიგადა, რომელსაც ფიზიკა-მათემატიკის მესამე კურსის სტუდენტი შოთა გოგიტაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ სხვა სამუშაოებთან ერთად გააკეთა ინსტიტუტის საბარგო ავტომანქანის ახალი ძარა.

სტუდენტთა მიერ სახელოსნოში დამზადებული პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული 29. 500 მანეთი მოხმარდა სახელოსნოებსა და კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება-გაფართოებას.

ინსტიტუტში მოწყობილია დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე ვიზიალური დაკვირვების სადგური, რომლისათვისაც საჭირო

სპეციალური მოედნის და სათავსოების აგებაში ძირითადად გამოყენებული იყვნენ სტუდენტები. ასევე სტუდენტთა ძალებით ჩატარდა ბიბლიოთეკის შენობის კაპიტალური რემონტი. ამ სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებით თავი ისახელა ბ. ხუხუნაშვილმა, ო. ოქროპირიძემ, ნ. ჭუჭუამ, ზ. ნიკოლაიშვილმა, რ. დადიანმა და ბევრმა სხვა სტუდენტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაყოფიერი მუშაობა ტარდება ინსტიტუტის მიწის ნაკვეთზე. სტუდენტები კარგად უვლიან ერთწლიან კულტურებს, ახდენენ მათზე დაკვირვებებს. მიწის ნაკვეთიდან შემოსავალი ხმარდება სტუდენტთა კვებას.

კარგად მუშაობს სტუდენტთა ავტოსაქმის შემსწავლელი, ფოტო მოყვარულთა, მომღერალთა, ქორეოგრაფიული, საესტრადო, სასულე ორკესტრის, დრამატული, ლიტერატურული და სხვა თვითმოქმედი წრეები.

ავტოწრის საქმის შემსწავლელთა 134 სტუდენტმა უკვე მიიღო მოხალისე მძღოლის წოდება. კინოს მოყვარულთა წრის წევრები ი. შევარდნაძე, ვ. მიქელაძე, ლ. წულუკიძე და სხვ. დამოუკიდებლად უშვებენ კინოსურათებს და მომსახურებას უწევენ როგორც სტუდენტებს, ისე სკოლის მოსწავლეებსა და მშრომელ მოსახლეობას; ასევე დიდ მოწონებას იმსახურებენ მომღერალთა და საესტრადო წრის წევრები. ისინი უფასოდ უწევენ მომსახურებას სამხედრო ნაწილებს, მუშებს, მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს.

ასევე კარგი შედეგები აქვს ფოტო საქმის შემსწავლელ წრეს, რომელშიც გაერთიანებულია 45 სტუდენტი. სტუდენტენტებთან შეთანხმების საფუძველზე პროფკომისა და კომკავშირის კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით მ/წ ზაფხულში 400 სტუდენტი ქალი იმუშავებს საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში მწვანე ჩაის ფოთლის მოკრეფაზე, ხოლო 300 სტუდენტი ვაჟი ქალაქის სამშენებლო ობიექტებზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობა სტუდენტთა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის.

2. რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებსა და სტუდენტთა

პროფკომების თავმჯდომარეებს გაავრცელონ და გამოიყენონ პრაქტიკაში სტუდენტთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობა.

3. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას (ამხ. საჯაია) პერიოდულად გააშუქოს გაზეთში სტუდენტების საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში მონაწილეობის საკითხები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 589

1959 წლის 15 ივნისი

### საქართველოს სსრ სკოლებში გამოცდების მიმდინარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლებში ორგანიზებულად დაიწყო და საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით მიმდინარეობს გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები.

მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და ობიექტურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას. მოსწავლეთა უმრავლესობა მომზადებული ცხადდება გამოცდებზე და კარგ ცოდნას ამჟღავნებს (ქ. თბილისის 58-ე, 1-ლი, რუსთავის მე-10, მე-6 და სხვა საშუალო სკოლები).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოცდების მიმდინარეობისას შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები, რაზეც სამართლიანად გაამახვილა ყურადღება გაზეთმა „სახალხო განათლებამ“. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არაკეთილსინდისიერად ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას. იჩენს ლიბერალიზმს, გაუსწორებელს სტოვებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ მრავალ შეცდომას (თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. მახოშვილი).

ყურადღებას იპყრობს ავადმყოფობის მოტივით გამოცდებიდან მოსწავლეთა დიდი ნაწილის განთავისუფლება. ასე, მაგალითად, 53-ე საშუალო სკოლის X კლასების 85 მოსწავლიდან გამოცდებს აბარებს მხოლოდ 34, მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა აგრეთვე

განთავისუფლებული ქ. თბილისის 55-ე, 51-ე, 1-ლ და სხვა საშუა-ლო სკოლებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოყოფილი საექიმო კომისიები, ყველა შემთხვევაში არ იჩენენ საჭირო პასუხისმგებლობას და ხელაღებით აძლევენ ცნობებს მოსწავლეებს გამოცდებიდან მათი განთავისუფლების აუცილებლობის შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განახორციელონ მკაცრი კონტროლი და სისტემატური ხელმძღვანელობა გამოცდების მიმდინარეობაზე;

ბ) ადგილებზე მივლინებულ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სისტემატურად შეამოწმონ მასწავლებელთა მიერ წერითი ნამუშევრების შეფასებების სისწორე; გამოავლინონ და დასაჯონ მოსწავლეთა ცოდნის არაობიექტურად შეფასებაში შემჩნეული მასწავლებლები;

გ) მოსწავლეთა გამოცდებიდან განთავისუფლების საკითხის განხილვისას ზუსტად იხელმძღვანელონ საგამოცდო ინსტრუქციის 28-ე და 38-ე პარაგრაფების მოთხოვნილებებით.

ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაავალოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს არ დაუშვან მოსწავლეთა ავადმყოფობის შესახებ ცნობების ხელაღებით გაცემის შემთხვევები.

3. ეს ბრძანება სათანადო ღონისძიებათა დასასახავად განხილულ იქნეს განათლების სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი          გ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 619

1959 წლის 22 ივნისი

### ბუნების დაცვის საქმეში დაშვებულ უხეშ დარღვევათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მეექვსე სესიის მიერ ბუნების დაცვის კანონის მიღების შემდეგ ბუნების დაცვა გადაიქცა დიდ და საყოველთაო-სახალხო საქმედ. რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სისტემატურად ტარდება ლექცია-საუბრები ადამიანის ჯანმრთელობასა და კლიმატურ პირობებზე ტყისა და მწვანე ნარგავების დადებითი გავლენის შესახებ. სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მოწყობილია მცენარეთა სხვადასხვა ჯიშების სანერგე, მოსწავლეთა მიერ სკოლისა და კოლმეურნეობების ნაკვეთებზე დარგული და გახარებულია ათასობით ძირი მცენარე და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღება ექცევა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის საქმეს, ადგილი აქვს ტყეების გაჩეხვა-განადგურების, სანადირო და თევზჭერის წესების დარღვევის შემთხვევებს. უსისტემოდ და უნებართვოდ არის მოჭრილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1958 წელს 3200-მდე კუბ. მეტრი ხე-ტყე, აგრეთვე უნებართვოდ არის მოჭრილი თეთრიწყაროს საკოლმეურნეო ტყეებში 953 კუბ. მეტრი ხე-ტყე, განადგურებამდეა მიყვანილი სოხუმის რაიონის სოფ. წითელი ოქტომბრის კოლმეურნეობებში 250 ჰექტარი საკოლმეურნეო ტყე, ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის კოლმეურნეობის ტყეებიდან—ტყის ძვირფასი ჯიშები.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში სანადირო მეურნეობის მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა მცხეთის, ბორჯომის, ხაშურის, ყვარლის, მაიაკოვსკის რაიონებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ასსრ-ში ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა ნადირობისა და თევზჭერის ვადები და წესები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცედ იხელმძღვანელონ ბუნების დაცვის საქმეში სკოლების მონაწილეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 2 დეკემბრის № 1504, 1958 წლის 12 დეკემბრის № 1544 და 1959 წლის 13 მარტის № 230 ბრძანებებით;

ბ) სკოლების დირექტორების (გამგეების) სპეციალურ თათბირზე განიხილონ ბუნებრივ სიმდიდრეთა განადგურების ამ ბრძანებაში აღნიშნული და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ფაქტები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

გ) სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, სოხუმის, თეთრიწყაროს, ახმეტის, მცხეთის, ხაშურის, ყვარლის და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებებმა შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეების უნებართვოდ გაჩეხვის, სანადირო და თევზჭერის წესების დარღვევის აღკვეთას.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) მოსწავლეთა და მშობელთა საერთო კრებაზე ჩაატარონ მოხსენებები და საუბრები ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელობისა და მისი მოვლა-დაცვის შესახებ;

ბ) პედაგოგიური კოლექტივების მეშვეობით ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში ტყეების უნებართვოდ გაჩეხვის, სანადირო და თევზჭერის წესების დარღვევის წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე　　　　　მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 848

1959 წლის 20 ივლისი

**საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა შემდგომი განვითარებისა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

აღვნიშნავ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწორად აღზრდის საქმეში. რესპუბლიკის საბავშვო ბაღებში ამჟამად ირიცხება 36 ათასი ბავშვი.

მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. სკოლამდელ დაწესებულებათა არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. ახალი ობიექტების მშენებლობანი კი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. დღეისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის 1959 წლის გეგმა მხოლოდ 4 პროცენტით არის შესრულებული.

საბავშო ბაგებსა და ბაღებში ჯერ კიდევ არის სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის თანმიმდევრული ერთიანი სისტემა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივლისის № 516 დადგენილებით ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ერთიანდება ორი ტიპის საბავშვო დაწესებულება—საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი ერთიან სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებად, გაერთიანებული დაწესებულების ხელმძღვანელობა საუწყებო საბავშვო დაწესებულებების გამოკლებით დავალებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. ამ დადგენილების შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებასთან ერთად:

ა) მიმდინარე წლის 25 ივლისისათვის წარმოადგინოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის განვითარების 1959-1965 წწ. გეგმა, გაერთიანებული დაწესებულებების სტრუქტურა და ტიპიური შტატი;

ბ) მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებასთან ერთად უზრუნველყოს სათანადო ასიგნობებით, მოწყობილობით და მასალებით გაერთიანებული საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა. ო. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური კონტროლი განახორციელონ ერთიან სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობებზე, მათი ხარისხის დაცვისა, მშენებლობის გაიაფებისა და ექსპლოატაციაში დროულად შეყვანის საქმეში. ყოველი კვარტალის ბოლოს წერილობით მოახსენონ ამ ღონისძიების გატარების მიმდინარეობის შესახებ.

განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი ამხ. ა. ღადუა) ვავალებ უხელმძღვანელოს ამ საქმეს;

ბ) სკოლამდელ დაწესებულებათა შენობების რემონტთან ერთად გაითვალისწინონ ეზოების გამწვანება-კეთილმოწყობა;

გ) მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ბავშვთა გაერთიანებულ, საკოლმეურნეო, მუდმივ და სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებს, დაეხმარონ პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საქმეში;

დ) გააძლიერონ პროპაგანდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, ამ მიმართებით სისტემატურად აწარმოონ ლექცია მოხსენებების ჩატარება მოსახლეობაში.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ამხ. ა. ღადუა):

ა) ამიერიდან საბავშვო დაწესებულებათა ყველა ახალი

მშენებლობა, როგორც წესი, ჩაატარონ გაერთიანებულ სკოლამდელ დაწესებულებათა (ბაგა-ბაღი) ტიპიური პროექტის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ახლოს იყოს ბავშვების საცხოვრებელ ადგილთან, რათა მშობლებს გაუადვილდეს ბავშვების მიყვანა საბავშვო დაწესებულებაში;

ბ) უახლოეს დროში გადასცეს „გიპროგორსტროის" გაერთიანებული საბავშვო დაწესებულებების (ბაგა-ბაღი) ტიპიური პროექტის შესადგენად საჭირო მონაცემები და კონტროლი გაუწიოს ამ პროექტის ზემდგომ ორგანოებში დროულად წარდგენას.

მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ს. არველაძე) საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებასთან ერთად:

ა) შეისწავლოს სკოლამდელ დაწესებულებათა საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფის მდგომარეობა და ა/წ 25/VII-მდე წარმოადგინოს წინადადებანი საბავშვო ავეჯის, სათამაშოებისა და სასწავლო თვალსაჩინო მასალების ასორტიმენტის გაფართოებისა და მათი წარმოების შესახებ;

ბ) სასტიკი კონტროლი დააწესონ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სკოლამდელ დაწესებულებათა მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებით მომარაგებაზე (ახალი ხორცი, რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და ხილი) დამტკიცებული ნორმებისა და ასორტიმენტის შესაბამისად.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი):

ა) ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში გაითვალისწინონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების გადამზადება;

ბ) პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად მოაწყოს გამსვლელი სემინარები სკოლამდელ მუშაკებისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში;

6. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე):

ა) მიმდინარე წლის 30/VII-მდე ადგილებზე შეისწავლოს და წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი ორი ტიპის საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა-ბაღი) ერთიან დაწესებულებად გაერთიანების შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს გაერთიანე-

ბული საბავშვო დაწესებულებების დებულების პროექტი და ა/წ 1 დეკემბრისათვის წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

გ) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 17 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 852

1959 წ. 22 ივლისი

**1. ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის №579 დადგენილებას და ამ დადგენილებით დამტკიცებულ „ინსტრუქციას საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის წესის შესახებ."**

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო"

## დადგენილება № 579

1959 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, შრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული ინსტრუქციით, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სტატისტიკურმა სამმართველომ უსისტიკესი კონტროლი გაუწიონ მის ზუსტად შესრულებას ადგილებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15
ივლისის № 579 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ

### 1. აღრიცხვის ორგანიზაციის ზოგადი დებულებანი

1. კანონით „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" 1959-1960 სასწავლო წლიდან შემოღებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველგან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება, ნაცვლად საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებისა, 7-დან 15 წლის ასაკამდე ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების გატარებაზე კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ყოველწლიურად ტარდება ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა 7-დან 15 წლამდე ჩათვლით.

მომავალ წელს პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტების დასაგეგმავად ყოველწლიურად დგება აგრეთვე 6 წლის ბავშვების სიები.

2. სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვას ატარებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. სტატისტიკური სამმართველოს ორგანოები ადგილებზე უშუალო მონაწილეობას იღებენ იმ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მომზადებასა და ჩატარებაში, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ, და პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათი დროულად და ზუსტად აღრიცხვისათვის.

3. პასუხისმგებლობა 7-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმისათვის ეკისრება აფხაზეთის ასსრ და

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა ხორციელდება სასოფლო საბჭოების, ქალაქებისა და სხვა ქალაქის ტიპის დასახლებათა და ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებში. აღრიცხვა წარმოებს სიების შედგენის გზით თანდართული ფორმის მიხედვით, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს იმავე საკითხების შემცველი ბარათებით; სიების შესადგენად საჭირო ცნობების წყაროს წარმოადგენენ სოფელ ადგილებში სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნები და დროებით მცხოვრებთა სიები, ქალაქებში საბინაო წიგნაკები მოსახლეობის გაწერის შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ამ წყაროების მონაცემების სისწორე ეჭვს იწვევს, ხდება ცალკეული კომლების ან სახლებისა და ბინების ჩამოვლა.

5. აღრიცხვაზე უნდა იყოს აყვანილი ყველა ბავშვი და მოზარდი 6-დან 15 წლამდე ჩათვლით, რომლებიც ცხოვრობენ სასოფლო საბჭოს, ქალაქისა და სხვა ქალაქის ტიპის დასახლების ტერიტორიაზე, როგორც ისინი ვინც სკოლებში ან სხვა სასწავლებლებში (ტექნიკუმებში, შრომითი რეზერვების სკოლებში, ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა და სხვა სკოლებში) სწავლობს, ისე ისინიც, ვინც არსად არ სწავლობს, 15 წლის ასაკამდე ბავშვების ჩათვლით დაწყებითი ან შვიდწლიანი სკოლის კურსდამთავრებულნი და სკოლებიდან გასულნი. ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე (უსინათლოები, გონებრივად ჩამორჩენილები, ყრუ-მუნჯები) შედგება ცალკეული სიები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ ბავშვთა ჩასაბმელად სპეციალურ სკოლებში.

6. ბავშვთა და მოზარდთა სიების შედგენა და მათში შემდგომი ცვლილებების შეტანა ეკისრებათ სოფელ ადგილებში სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში (დაბებში) სახლთა მმართველებს, უწყებრივი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდანტებს, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, საქალაქო და სადაბო აღმასკომების სპეციალურ რწმუნებულებს პირადი საკუთრების სახლებში. სასოფლო-სადაბო და საქალაქო აღმასკომები სიების შესადგენად მოიწვევენ სკოლების დირექტორებს (გამგეებს), სახალხო განათლების კომისიების წევრებს, სხვა საბჭოთა აქტივს.

7. ბავშვთა და მოზარდთა სიები ინახება სოფლის, სადაბო და საქალაქო აღმასკომებში ან ქალაქის რაიაღმასკომებში (რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ), როგორც საბუთები საყოველთაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე კონტროლისათვის და როგორც მასალა ამის შესახებ ანგარიშის შესადგენად.

იმ ბავშვებზე შედგენილი თვითეული სია, რომლებსაც 6 წელი შეუსრულდათ, შემდეგში მთელი პერიოდის მანძილზე გამოიყენება იმ დრომდე, ვიდრე სიაში შეტანილ ბავშვებს 15 წელი შეუსრულდებათ. სიაში ყოველწლიურად შეიტანება ყოველ მოცემულ წელს დაბადებულ ბავშვთა და მოზარდთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, ე. ი. ჩაიწერებიან მოსულები, ამოირიცხებიან წასულები, კეთდება აღნიშვნები სწავლების შესახებ. ის სიები, რომლებიც ხანგრძლივი ხმარების გამო უვარგისი გახდა, მთლიანად ან ნაწილობრივ განახლდება საჭიროების მიხედვით.

8. სკოლების დირექტორები (გამგეები) სასწავლო წლის განმავლობაში საჭირო ზომების მისაღებად სათანადო აღმასკომს (საქალაქო, სადაბო ან სასოფლო აღმასკომს) აცნობებენ იმ ბავშვების შესახებ, რომლებმაც მეცადინეობა შეწყვიტეს. შეტყობინება გაიგზავნება არა უგვიანეს 5 დღისა მოსწავლეების მიერ სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის დროიდან.

## 11. მოსამზადებელი მუშაობა აღრიცხვის ჩასატარებლად

9. სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სიების დროულად შედგენისა და შემოწმების მიზნით, რაიონული და საქალაქო აღმასკომები მოვალენი არიან 1 აგვისტომდე:

ა) სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და მილიციის ორგანოების მეშვეობით დააზუსტონ საკომლო წიგნებსა და საბინაო წიგნებში ჩანაწერები 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ;

ბ) სპეციალურად დანიშნული რწმუნებულების მეშვეობით შეადგინონ ბავშვთა სიები ქალაქებისა და მუშათა დაბების იმ სახლებში, რომლებიც მოქალაქეთა პირად საკუთრებაშია და შეამოწმონ სახლმმართველობისა და სხვა საბინაო-კომუნალური მეურნეობების მიერ წარმოდგენილი სიები;

გ) სსრ კავშირის სტატისტიკური სამმართველოს რაიონული (საქალაქო) ინსპექტორების მონაწილეობით მოაწყონ იმ პირთა ინსტრუქტაჟი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის სისრულისა და დროზე ჩატარებისათვის;

დ) უზრუნველყონ აღრიცხვის სიის ფორმის დაბეჭდვა. მოამარაგონ სუფთა ბლანკებით ის პირები, რომლებიც ბავშვთა აღრიცხვას ეწევიან. ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები, გარდა ამისა, ბლანკებით „ნაკრები ცნობები 1 სექტემბრისათვის 6 და 7 წლის ასაკის ყველა ბავშვის და 7-15 წლის იმ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის აღრიცხვის შესახებ, რომლებიც სკოლებში არ სწავლობენ სასწავლო წლის დამდეგისათვის“ (რაიაღმასკომის ფორმა №77).

ბავშვთა აღრიცხვის ინსტრუქციას და ნაკრები ანგარიშების ფორმას ბეჭდავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

## III. სოფელ ადგილებში ბავშვთა აღრიცხვის წესი

10. სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან:

ა) დააზუსტონ საკომლო წიგნებსა და დროებით მცხოვრებთა სიებში ჩანაწერები ბავშვებისა და მოზარდების შესახებ 6-15 წლის ჩათვლით;

ბ) ამ დაზუსტების საფუძველზე შეიტანონ საჭირო ცვლილებები ბავშვთა და მოზარდთა სიების იმ დედნებში, რომლებიც სასოფლო საბჭოებში ინახება;

გ) არა უგვიანეს 15 აგვისტოსი შეადგინონ იმ ბავშვთა სიები რომლებსაც 1 სექტემბრისათვის შეუსრულდებათ 6 წელი, აგრეთვე იმ ბავშვებისა, რომლებსაც 1 სექტემბრისათვის შეუსრულდებათ 7 წელი (ე. ი. შეამოწმონ გასულ წელს შედგენილი 6 წლიანთა სიები) და დანარჩენი ასაკის იმ ბავშვებისა, რომლებიც არ სწავლობენ;

დ) არა უგვიანეს 20 აგვისტოსი გადასცენ თვითეული სკოლის დირექტორს (გამგეს) 7-15 წლის იმ ბავშვთა და მოზარდთა სია, რომლებმაც მოცემულ სკოლაში უნდა ისწავლონ.

11. სკოლების დირექტორები (გამგეები) შეამოწმებენ ბავშვთა და მოზარდთა გამოცხადებას სკოლაში, გამოარკვევენ გამოუცხადებლობის მიზეზებს და არა უგვიანეს 5 სექტემბრისა წარუდგენენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს იმ ბავშვთა სიებს, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, გამოუცხადებლობის მიზეზის აღნიშვნით. ხოლო წლის განმავლობაში აცნობებენ იმ ბავშვების შესახებ, რომლებმაც მეცადინეობას თავი მიანებეს. ამასთან დირექტორები მიაწვდიან აგრეთვე ცნობებს იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც გამოცხადნენ სკოლაში, მაგრამ არ იყვნენ შეტანილი სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ შედგენილ სიებში. მეცადინეობაზე ბავშვთა გამოცხადების შემოწმება წარმოებს სასოფლო

საბჭოს აღმასკომისაგან მიღებული სიების და იმ მოწაფეთა სკოლაში არსებული სიების საფუძველზე, რომლებიც სწავლობდნენ სკოლაში წინა სასწავლო წელს.

12. მიმდინარე და შემდგომ სასწავლო წლებში სკოლაში ჩასაბმელ 6 და 7 წლის ასაკის ბავშვთა სიების, აგრეთვე იმ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, სასოფლო საბჭოს აღმასკომი შეადგენს ნაკრებ ცნობას 1 სექტემბრისათვის 6 და 7 წლის ასაკის ბავშვთა და 7-15 წლის ასაკის იმ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც სკოლაში არ სწავლობენ სასწავლო წლის დასაწყისში (რაიაღმასკომის ფორმა №77), და არა უგვიანეს 15 სექტემბრისა წარუდგენს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს რაიინსპექტორს.

13. სასწავლო წლის განმავლობაში სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან მიაწოდონ სათანადო სკოლებს ცნობები სკოლის ასაკის იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში მოვიდნენ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, რათა სკოლამ მიიღოს ზომები ამ ბავშვთა სკოლაში ჩასაბმელად.

ცნობა გაეგზავნება სკოლას არა უგვიანეს 5 დღისა იმ დროიდან, რაც ბავშვი ან მოზარდი მოვიდა მოცემულ დასახლებულ პუნქტში.

## IV. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში (დაბებში) ბავშვთა აღრიცხვის წესი

14. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში (დაბებში) მილიციის ორგანოებმა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მითითებით 1 აგვისტომდე უნდა შეამოწმონ საბინაო წიგნების ჩანაწერების სისწორე 6-15 წლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდების შესახებ და შეიტანონ აღნიშნულ წიგნებში საჭირო შესწორებანი.

15. სახლმმართველები, უწყებრივი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, საბავშვო სახლების გამგეები, საქალაქო (რაიონული) აღმასკომების რწმუნებულები მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლების საბინაო წიგნებში შემოწმებული ჩანაწერების საფუძველზე შეადგენენ იმ ბავშვთა სიებს, რომლებსაც 1 სექტემბრისათვის უსრულდებათ 6 წელი, იმ ბავშვებისა, რომლებსაც უსრულდებათ 7 წელი (ე. ი. შეამოწმებენ გასულ წელს შედგენილ 6 წლიანთა სიებს) და დანარჩენი ასაკის იმ ბავშვებისა, რომლებიც არ სწავლობენ და არა უგვიანეს 10 აგვისტოსი ამ სიებს წარუდგენენ რაიონული დაყოფის არმქონე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლებების (დაბების) საქალაქო აღმასკომს ან სადაბო საბჭოს აღმასკომს. ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში—რაიაღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საქალაქო, რაიონული და სადაბო აღმასკომები ამოწმებენ და სისტემაში მოყავთ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ წარმოდგენილი სიები, აჯგუფებენ მათ სკოლების მიკრორაიონების მიხედვით, არა უგვიანეს 15 აგვისტოსი გადასცემენ სიებს იმ სკოლების დირექტორებს (გამგეებს), რომლებშიც უნდა ისწავლონ ბავშვებმა და მოზარდებმა. ბავშვთა და მოზარდთა ძირითადი სიები ინახება აღმასკომებში.

სკოლის დირექტორი ან გამგე სისტემატურად ყურადღებას აქცევს სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებას თავისი სკოლის მიკრორაიონში და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების საშუალებით ღებულობს საჭირო ზომებს სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა სწავლებაში ჩასაბმელად, ამასთან სიებში შეაქვთ საჭირო ცვლილებები მოსწავლეთა სკოლაში მოსვლისა ან სკოლიდან გადასვლასთან დაკავშირებით.

17. სკოლების დირექტორები (გამგეები) ამოწმებენ ბავშვთა და მოზარდთა გამოცხადებას სკოლაში, არკვევენ გამოუცხადებლობის მიზეზებს და არა უგვიანეს 5 სექტემბრისა უდგენენ საქალაქო, რაიონულ და სადაბო აღმასკომს იმ ბავშვთა სიებს, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, გამოუცხადებლობის მიზეზების აღნიშვნით. დირექტორები აცნობებენ აგრეთვე იმ ბავშვთა შესახებაც, რომლებიც გამოცხადდნენ სკოლაში, მაგრამ არ იყვნენ შეტანილი სკოლაზე გადაცემულ სიებში. ბავშვთა გამოცხადების შემოწმება წარმოებს აღმასკომებისაგან მიღებული სიებისა და სკოლაში არსებული იმ მოწაფეთა სიების საფუძველზე, რომლებიც სკოლაში სწავლობდნენ წინა სასწავლო წელს:

18. მიმდინარე და შემდგომ სასწავლო წლებში სკოლაში ჩასაბმელ 6 და 7 წლის ასაკის ბავშვთა სიებისა, აგრეთვე იმ ბავშვთა და მოზარდთა შესახებ სკოლებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე, რომლებიც სკოლაში არ გამოცხადებულან, საქალაქო აღმასკომი (რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიაღმასკომი (რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ) და სადაბო აღმასკომი შეადგენს ნაკრებ ანგარიშს 1 სექტემბრისათვის 6 და 7 წლის ასაკის ყველა ბავშვისა და 7-15 წლის ასაკის იმ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც არ სწავლობენ სკოლებში სასწავლო წლის დასაწყისში რაიაღმასკომის ფორმა №77), და წარუდგენენ მას სსრკ სტატისტიკური სამმართველოს

რაიონულ (საქალაქო) ინსპექტორს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

19. სასწავლო წლის განმავლობაში სახლმმართველები, ქუჩის ყებრივი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების გამგეები მოვალენი არიან მიაწოდონ აღმასკომს, ხოლო აღმასკომები მოვალენი არიან გაუგზავნონ სათანადო სკოლებს ცნობები სკოლის ასაკის იმ ბავშვთა შესახებ, რომლებიც ახლად მოვიდნენ საცხოვრებლად, რათა მიღებულ იქნეს ზომები ამ ბავშვების ჩასაბარებლად მოცემულ სკოლაში. აღმასკომები სკოლებს ცნობებს გაუგზავნიან ბავშვის ან მოზარდის მოსვლის დროიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

## V. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული და საქალაქო ინსპექტორების მოვალეობანი

20. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოები ადგილებზე ღებულობენ უშუალო მონაწილეობას იმ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მომზადებასა და ჩატარებაში, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ:

ა) აღწერის მონაცემების სისწორისა და სისრულის უზრუნველსაყოფად ატარებენ სასოფლო და სადაბო საბჭოების საკომლო წიგნებისა და აგრეთვე სახლმმართველობების საბინაო წიგნებში ჩანაწერების სისწორის შემოწმებას თვითეული ბავშვისა და მოზარდის დაბადების წლის და თვის შესახებ, რომლებსაც საყოველთაო სავალდებულო სწავლება ეხებათ; საჭირო შემთხვევაში ატარებენ კარდაკარ შემოვლას;

ბ) ინსტრუქტაჟს აწყობენ სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ჩასატარებლად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ გამოყოფილ (დანიშნულ) პირთათვის;

გ) ამოწმებენ ნაერთი ანგარიშის მონაცემების სისწორეს რაიაღმასკომის ფორმა №77) 1 სექტემბრისათვის 6-7 წლის ბავშვების და 7-15 წლის ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლებში არ სწავლობენ და იღებენ ზომებს შემოწმების დროს გამოვლინებული ნაკლის გამოსასწორებლად;

დ) აღმასკომებიდან მიღებული ანგარიშების (ფორმა №77) საფუძველზე ამავე ფორმის მიხედვით შეადგენენ ნაკრებ ანგარიშს და სტატისტიკური მუშაობის გეგმით დადგენილ ვადებში უდგენენ სსრკ სტატისტიკურ სამმართველოს სისტემის ზემდგომ ორგანიზაციას და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამის აღმასკომებს;

ე) საანგარიშო მონაცემებისა და ბავშვთა და მოზარდთა აღ-რიცხვის სისწორის შემოწმების მასალების საფუძველზე მოამზადე-ბენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს სასკოლო ასაკის ბავშ-ვთა და მოზარდთა აღრიცხვის შედეგებს (იხ. დანართი).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ ამ ინსტრუ-ქციის დაყვანა ყველა სკოლამდე. გააცნონ იგი სკოლების დირექ-ტორებს (გამგეებს) და მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული ინ-სტრუქციით სავალდებულო სწავლების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 856

1959 წლის 23 ივლისი

### 1959-1965 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში სკოლა-ინტერნატების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ

